საქმე #4/ა-182-2010წ.

დადგენილება

საქართველოს სახელით

---------- **2010 წელი** **ქ. ქუთაისი**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე:თეიმურაზ სიხარულიძე.

საჩივრის ავტორი: X

მოწინააღმდეგე მხარე: ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილება.

დავის საგანი: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა.

გასაჩივრებული დადგენილება: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 აგვისტოს დადგენილება.

ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა X-ის საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 აგვისტოს დადგენილებაზე.

საქმის გარემოებებზე მითითება:

2010 წლის 14 აგვისტოს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების უფროსის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გაეგზავნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის #06… ოქმი X-ის მიმართ, რომელსაც ნარკოლოგიურ ცენტრში შემოწმებისას დაუდგინდა ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანას) მოხმარების ფაქტი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით X -ს დაედო ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ის დაუყოვნებლივ განთავისუფლდა ადმინისტრაციული დაკავებიდან სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

აღნიშნული დადგენილება სააპელაციო წესით X-მა გაასაჩივრა. მან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 აგვისტოს დადგენილების გაუქმება და საქმის შეწყვეტა მოითხოვა შემდეგ მოსაზრებათა გამო: ის 2007 წლიდან დაავადებულია მძიმე, განუკურნებელი დაავადებით, დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში უწევს მკურნალობა და ექიმის მუდმივი ზედამხედველობა. მკურნალობისთვის ყოველდღე იღებს სპეციფიკურ წამლებს, რომლებიც

მართალია დაავადებას კურნავს, მაგრამ იძლევა ცრუ რეაქციას, რასაც ადასტურებს სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“-ს ექიმ ნ. ბოლოკაძის ცნობა, რომლის მიხედვით პრეპარატი ეფავირენზი (იღებს ყოველდღე სამ აბს ძილის წინ) იძლევა ცრუ დადებით რექციას შარდში ტეტრაჰიდროკანაბინოლის და ბენზოდიაზეპინების ჯგუფზე. ყოველთვის, როდესაც მოხდება მისი შემოწმება ნარკოტიკულ თრობაზე, აღმოჩნდება ტეტრაჰიდროკანაბინოლის მოხმარების ფაქტი, რაც მისი ბრალეული მოქმედებით არ ხდება, ამიტომ უპირველეს ადგილზე დგას მისი სიცოცხლის უფლება.

სააპელაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საჩივრის საფუძვლიანობა, შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და თვლის, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2010 წლის 13 აგვისტოს 17:45 საათზე ქ. ქუთაისში,წერეთლის ქუჩაზე მდებარე მე-12 საჯარო სკოლის წინამდებარე ტერიტორიაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნა X (ს.ფ. 2).

#3433129 ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ 2010 წლის 13 აგვისტოს 18:58 საათზე დაიწყო და 19:13 საათზე დასრულდა X-ის საექსპერტო გამოკვლევა. მას ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა: ნარკოტიკული საშუალება - ტეტრაჰიდროკანაბინოლი (მარიხუანა) (ს.ფ. 4).

2010 წლის 14 აგვისტოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს პოლიციის მე-2 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის #067044 ოქმი, სადაც აღნიშნულია: „2010 წლის 13 აგვისტოს ქ. ქუთაისი, ა. წერეთლის ქუჩაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნა მოქალაქე X-ი, რომელსაც ნარკოლოგიურ ცენტრში შემოწმებისას დაუდგინდა ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანას) მოხმარების ფაქტი“.ოქმს ხელს აწერს X-ი (ს.ფ. 7).

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 აგვისტოს სხდომის ოქმში X-მ განაცხადა: „ვადასტურებ სამართალდარღვევის ოქმში მითითებულ გარემოებას“ (ს.ფ. 09).

აქედან გამომდინარე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებულ დადგენილებაში მიუთითა, რომ X-მა დაადასტურა ოქმში მითითებული გარემოებების სისწორე (იხ. დადგენილება).

სააპელაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილფაქტობრივ გარემოებას, მათ სამართლებრივ შეფასებას და აღნიშნავს, რომ შესაძლებელია პრეპარატ ეფავირენზს მართლაც გააჩნდეს ცრუ დადებითი რეაქცია შარდში ტეტრაჰიდროკანაბინოლსა და ბენზოდიაზეპინების ჯგუფზე, მაგრამ, ცხადია, რომ, ჯერ ერთი, ლაბორატორიული გამოკვლევით X-ს დაუდგინდა - ნარკოტიკული საშუალება - ტეტრაჰიდროკანაბინოლი (მარიხუანა) და მეორე, რაც საყურადღებოა, მან სასამართლო სხდომაზე დაადასტურა სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნული გარემოება - ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანას) მოხმარების ფაქტი.

ამდენად, X-ის მოქმედებაში სახეზეა ასკ-ის 45 მუხლის სამართალდარღვევა და მიღებული გადაწყვეტილება კანონშესაბამისია, შესაბამისად მისი გაუქმების და საქმის შეწყვეტის კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 276-ე, 278-ე, 279-ე მუხლებით და

დაადგინა:

X-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 აგვისტოს დადგენილება.

მოსამართლე: თეიმურაზ სიხარულიძე

ხელმოწერილია. ასლი სწორია

თანაშემწე ფატი ფურცხვანიძე